

## თავი 3. დიაგნოსტიკის მეთოდები

ხელმძღვანელთა უმრავლესობა დაინტერესებულია იმ კონსულტანტების მიმსახურებით, რომლებიც ფლობენ დიაგნოსტიკის მეთოდებს. ამ მეთოდების საშუალებით ისინი აკროვებენ ხელმძღვანელებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამჟმავებენ და აძლევენ მას ხელმძღვანელისათვის საჭირო ფორმას. არსებობს მრავალნაირი მეთოდი, რომელთაც გამოიყენებენ საკონსულტაციო საქმიანობაში. კონსულტანტები უმთავრესად მიმართავენ ისეთ მეთოდებს, რომლებსაც ხელმძღვანელები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან (საუბარი პრისონალთან, "ინტერვიუ", საბუთების შესწავლა, მონაწილეობა თათბირება და კუებებში, სტატისტიკური მასალების გაცნობა). უკანასკნელ წლებში კონსულტანტები გადავიდნენ უფრო რთული მეთოდების გამოყენებაზეც, როგორიცაა: ანკვა, ექსპერტული შეფასება, ანალიზის სხვა მეთოდები და საქმიანი თამაშები. აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ კონსულტირების სხვადასხვა ეფაპზე. დიაგნოსტიკის შეთოდები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- 1) ინფორმაციის შეგროვების მეთოდები;
- 2) ინფორმაციის გადამუშავებისა და ანალიზის მეთოდები;
- 3) პრობლემების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდები.

### 3.1. ინფორმაციის შეგროვების მეთოდები

**ინტერვიუ.** ეს მეთოდი ყველაზე უნივერსალურია ინფორმაციის მოპოვება და შეგროვებისათვის. არსებობს ორი ტიპის ინტერვიუ: თავისუფალი და ურთისალიზებული.

**თავისუფალი ინტერვიუსათვის** დამახასიათებელია ის, რომ კონსულტანტი სურვის მიმართულებაზე არ ახდენს დიდ გაულენას, იგი მხოლოდ მოგჯერ აძლევს რესპონდენტს მიმართულების მიმცემ შეკითხვებს.

**ურთისალიზებული ინტერვიუს** ჩატარებისას კონსულტანტის როლი ურთისალიზებულია და რესპონდენტი პასუხობს მხოლოდ მის შეკითხვებზე.

**თავისუფალი ინტერვიუს** ღირსებაა მეტად გულახდილი და ჭეშმარიტი მიღება თვით რესპონდენტზე. მაგრამ მას გააჩნია ნაკლიც, იგი დროის დიდ დანახარჯებს და დიდია კონსულტანტის დაბაბული

გონიერივი შრომა. ზოგადი დიაგნოსტიკის ღროს უმეტესად გამოიყენება თავისუფალი ინტერვიუ, განსაკუთრებით მუშაობის პირველ ეტაპზე.

თავისუფალი ინტერვიუს ჩატარების წინ კონსულტანტი ადგენს გარკვეულ გეგმას, სადაც განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტი სჭირდება მას, ვისგან უნდა მიიღოს ინფორმაცია და სად და როგორ ჩატაროს ინტერვიუ. საერთო დიაგნოსტიკის პროცესში საჭირო ფაქტების მოპოვება ნიშნავს უპირველესად იმას, რომ შესასწავლი თბიექტი უნდა დაიყოს სისტემებად და ქვესისტემებად. ინტერვიუს ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორია ასეთი დაყოფის სქემა.

დიაგნოსტიკის ჩატარებისას იყენებენ წარმოების ქვესისტემებად დაყოფის სხვადასხვა ვარიანტს. 3.1 სქემაში წარმოდგენილია ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

### სქემა 3.1

ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება, მიღებული მისი ქვესისტემებად  
დაყოფის შედეგად.

ყურადღების ობიექტი ზოგადი დიაგნოსტიკის ჩატარებისას	დახასიათება
1. საერთო მონაცემები	ადგილმდებარეობა, საქმიანობა, წარსული
2. ორგანიზაციის რესურსები	მატერიალური, ენერგეტიკული,
3. ორგანიზაციის მიზნები	ფინანსური, ადამიანური
4. ურთიერთობები სხვა ორგანიზაციებთან	სტრატეგია, ტაქტიკა, დაგეგმვა
5. წარმოება	მომარაგება, გასაღება
6. მართვა და კადრები	პოტენციალი, ეფექტიანობა, ტექნიკა და ტექნოლოგია, გარემოს დაცვა დოკუმენტაცია, პიროვნებათშორისი ურთიერთობები, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

თავისუფალი ინტერვიუს ჩატარებისას მიმანშეწონილია ძირითადი დებულებები:

**პირველი**, ინტერვიუს საერთო სქემა (საწარმოს ქვესისტემებად დაყოფა) რესპონდენტს უნდა ცნობოს ინტერვიუმდე 2-3 დღით ადრე. საერთო დიაგნოსტიკის ჩატარების შემთხვევაში კონსულტანტი უმაღლესი რეკოლის ხელმძღვანელს სოხოვს

მოვალეობის თრგანიზაციის ყველა ასპექტის დახასიათების მისაცემად ამჟამად და საკუთოს ექსკურსი წარსულში (5-20 წლის წინ რესპონდენტის სტაჟის მიხედვით) და განსაზღვროს მომავალი;

**მეორე,** რაღაც თავისუფალ ინტერვიუს სჭირდება დიდი დრო, საჭიროა ასანაკლებ 2-3 საათის რეზერვირება. ამ დროის განმავლობაში რესპონდენტი უდიდეს და კონსულტანტი უნდა იყვნენ დაზღვეულები გარეშე უძრორებისაგან (საფელეფონო ზარები, მომსვლელები);

**მესამე,** კონსულტანტმა უნდა იზრუნოს, რათა უმუალო, სანდომიანი აუმჯობერო შექმნას, ე.ი. ყოველთვის უნდა ახსოვდეს კონსულტანტის საქმიანობის მიავარი პრინციპები (კლიენტის ინტერესების დაცვა, კონფიდენციალობა და სხვა). როგორც გამოცდილება ცხადყოფს, ხელმძღვანელი თავს თავისუფლად გრძინოს თავის სამუშაო მაგიდასთან. აյ მას ხელთ აქვს საჭირო ინფორმაცია, რომელსაც უფრო უკენებს ფაქტების დასამტკიცებლად.

თავისუფალი ინტერვიუს დროს არ არის რეკომენდებული წერილობითი შემთხვევების გაკეთება, თუმცა ეს აუცილებელია, საჭიროა რესპონდენტის თანხმობა. ასაკითარ შემთხვევაში არ შეიძლება მაგნიტოფონის, მით უფრო ფიდენტურიფონის გამოყენება. ეს დიდ ზიანს აყენებს ინფორმაციის სისრულესა და უფარობას.

ინტერვიუს პროცესში კონსულტანტს შეუძლია გააჩეროს რესპონდენტი მიღლოდ იმ შემთხვევების, თუ მან თემას გადაუხვია, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს უძლიერად, რომ არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ინფორმაცია არ იყო შემუშავებული. მიუღებელია აგრეთვე კრიტიკული შენიშვნები ხელმძღვანელის მისამართით და მასთან კამათი.

სასურველია, გადაკვრით (ქარაგმულად) თქმა სრულყოფის შესაძლებლობებში (მაგალითად, სხვა შემკვეთების გამოცდილების მოტანა). დამხმარე მასალად კონსულტანტი იყენებს სქემას 3.1. იგივე მასალა და პროცედურაა საჭირო საშუალო და მარეული რგოლის ხელმძღვანელების ინტერვიუს დროსაც.

**როგორც** წესი, ორგანიზაციის იერარქიიდან გამომდინარე, ინტერვიუს აუცილებენ რამდენიმე ეტაპად, რის შედეგადაც კონსულტანტი ღებულობს სულ უფრო მეტ ინფორმაციას, რაც საბოლოოდ მას ორგანიზაციის ყველაზე მარტივობაზე პრობლემების შეხწავლის საშუალებას აძლევს.

ინტერვიუს ჩატარების შემდეგ კონსულტანტი აკეთებს შენიშვნებს, გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს, შეფასებებს, ამრებს და აკეთებს სათანადალსკვნებს.

**დოკუმენტციის ანალიზი.** ეს მეთოდი მოიცავს მართვის სრულყოფის ნორმატიული მასალების (ორგანიზაციული სქემა, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვ), სხვადასხვა საბუღალტრო და საგეგმო დოკუმენტაციის და განვითარების პროექტების ანალიზს.

დოკუმენტების ანალიზი რეკომენდებულია ინტერვიუს მიღებამდე კონსულტანტს საშუალებას აძლევს უკეთესად გაუგოს ხელმძღვანელს, შეამციროს მისდამი შეკითხვების მიცემის რაოდენობა და შეაფასოს იგი როგორც პიროვნება (ინტერვიუს დროს შეადგინოს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი).

საკონსულტაციო საქმიანობის ორგანიზაციის თვალსაზრისით საბუღალტრო ანალიზისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვიწრო სპეციალიზაციის მუშაკების შრომა (ეკონომიკური ანალიზი და სხვა), რომლებიც ნაკლებად არიან დატვირთულები გამოცდილ სპეციალისტებთან შედარებით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ დოკუმენტში არასწორად არის ასახული სინამდვილე (მაგ., მანქანა-დანადგარების გაცდენები, წარმოვალი თრგანიზაციული სქემა და სხვა). ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე მოვლენაში არსებობს განსხვავებული ინფორმაციები. ობიექტური მონაცემების მისაღებად საჭიროა დოკუმენტაციის ანალიზის პარალელურად გამოყენებულ იქნეს ანალიზის სხვა მეთოდიც.

**დაკვირვება.** ამ მეთოდის მეშვეობით დებულობენ მონაცემებს, რომლებიც არ არის დაფიქსირებული საბუღალტროში. კონსულტანტი ესწრება თათბიროვან თვალყურს აღვნებს, თუ როგორ იძლევა ხელმძღვანელი განკარგულებულ აკვირდება როგორ დებულობს მდივანი მომსვლელებს და სხვ. კონსულტანტი ატარებს დაკვირვებას ინტერვიუს აღების დროსაც კი, მონაწილეობს მოვლენებში. უკვირდება საქმის მსვლელობას, თრგანიზებას უკეთებს ჯგუფურ მუშაობას და სხვ. ამგვარად, დაკვირვების მეთოდი გამოიყენება არა იზოლირებულად, არამედ ინფორმაციის შეგროვების დროს.

დაკვირვების მეთოდის დახმარებით მმართველობითი კონსულტინგისას მიღება ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შრომის პირობების, მუშაობის მეთოდების, ხელმძღვანელსა და ხელქვეითთა შორის ურთიერთობების შესახებ და სხვ. თუ დაკვირვება უმთავრესად გამიზნულია საკადრო პრობლემების შესასწავლად (ურთიერთობები, არაფორმალური თრგანიზაცია, ქცევის მოტივები).

ჰერი კონსულტანტი იყენებს გარკვეულ სოციომეტრიკულ, ფსიქომეტრიკულ და შესაბამის მიღების.

მომუშავეთა ქცევაზე დაკვირვების შედეგები სასურველია დაჯგუფდეს შემცირებისათვის: გამოყენება, დაკმაყოფილების დონე (რა მოსწონს, რა არა), შემაობის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაკუთრებული ინტერესები და მიზანურია, გულახდილობა, სხვა მუშაკებთან დამოკიდებულება, თანამშრომლობის სურვილი, მართვის სტილი (ავტოკრატი, დემოკრატი), შემოქმედებითი აზროვნების დონე, ინოვაციური პოტენციალი და სხვ. მსგავსი საკადრო ინფორმაციის არსებობა ჰქონის გარეშემოწოდებული მუშაობის უფექტურობის გადანიშავიაში.

დაკვირვების ჩატარება სარწმუნო ინფორმაციის მიღების მიზნით უზრუნველყოფილი პროცესია. უმრავლესობა ყურადღების ქვეშ ყოფნისას თავისუფლად ურ გრძნობს თავს. მათი ქცევა იცვლება, ერთხი გაუბედავები ხდებიან, მეორეზი - ურუელ-ინტენსიური მუშაობის რიგმზე გადადიან. იმისათვის, რომ შერბილდეს შესავალი უფექტი, კონსულტანტმა დაწერილებით უნდა აუსწნას ორგანიზაციის შემაკავებების თავისი მიზნები, დაიმსახუროს მათი ნდობა და დაუმტკიცოს, რომ მისი საქმიანობის შედეგად მათი მდგომარეობა არ გაუარესდება. საჭიროა შეიქმნას არამშრომლობის ატმოსფერო და მუშაკების ქცევა შესასწავლ ობიექტზე დარჩეს შესაბამისი.

**ანკეფირება.** ეს მეთოდი ითვალისწინებს კონკრეტული ფაქტების გამოვლინას მრავალი პირის მეშვეობით ან იყენებენ მაშინ, როდესაც ორგანიზაციის შემაკავებები დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან.

ანკეფის შედეგენა კონსულტანტისაგან ითხოვს სპეციალურ ცოდნას, კონსულტორებით მაშინ, როდესაც ანკეფაში გამოიყენება სოციომეტრიკული და უსტარმეტრიკული მეთოდები. ანკეფის შედეგნისას დასაზუსტებელია თუ რა სახის ანკეფია მოსაპოვებელი და როგორ გამოიყენება იგი შემდგომში. ყერადღება უნდა მიექცეს აგრეთვე, პასუხების განზოგადებასა და კლასიფიკაციას.

ანკეფისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია:

- იგი უნდა იყოს მარტივი (კონკრეტული, მოკლე შეკითხვებით, უკეთესია დაუდისწინებდეს პასუხებს "დიახ", "არა");
- შეკითხვები უნდა იყოს ლოგიკური.

როგორც წესი, ანკეფას ადგენენ ანკეფის საშუალებით შესასწავლი დარგის დაუდისგი და ანკეფის შემდგენელი მეთოდისგი. ყველა ანკეფა გადის კონკრენტულ შემოწმებას. მმართველობით კონსულტირებაში ანკეფის დაუდისა, როგორც წესი, უნდა იყოს 1-5 გვერდი.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც გადაეცემა ანკეტები, უნდა იყოს საქმის კურსში თუ რატომ, რისთვის და რა მიზნებისათვის სჭირდებათ პასუხები და კიდევ, ვინ პასუხობს იმავე შეკითხვებზე.

როგორც წესი, ანკეტების ეშინათ, ვარაუდობენ, რომ კრიფიკული სახის ინფორმაცია (შეფასება) შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდგომში ამ ინფორმაცია წყაროს წინააღმდეგ. სამწეხაროდ, ასეთი სიტუაცია დაკავშირებულია კონკრეტულ ორგანიზაციის ფსიქოლოგიურ კლიმატთან და კონსულტანტის შესაძლებლობების გაელენა მოახდინოს არსებულ აზრზე უმნიშვნელოა. ანონიმურობის დაცვაც კი ვერ უზრუნველყოფს პასუხების ჰეშმარიტებას, თუკი ფსიქოლოგიური კლიმატი ორგანიზაციაში არახელსაყრელია.

ანკეტების საშუალებით უფრო ღრმა ინფორმაციის შეგროვების წყაროს წარმოადგენს ტესტირება. ტესტებს ჩვეულებრივად ატარებენ უფრო ბოგად ხასიათის ანკეტებზე პასუხების მიღების შემდეგ. ტესტების გამოყენებისათვის საჭიროა ღრმა სპეციალური ცოდნა და ამიტომაც მუშაობაში მონაწილეობები ფსიქოლოგები და სოციოლოგები, რომლებიც სპეციალიზებული არიან ამ სფეროში ისინი, როგორც წესი, არ ატარებენ დამოუკიდებულ საკონსულტაციო მუშაობას, არამედ გამოცდილი კონსულტანტების დაკვეთებს ასრულებუნ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტესტირება არ არის მნიშვნელოვანი და განშაბდებული ფაქტორი საკონსულტაციო საქმიანობაში.

**ექსპერტული შეფასებები** მიეკუთვნება იმ მეთოდთა ჯგუფს, რომლის მეშვეობით კონკრეტული პირებისაგან (ექსპერტები) შეიძლება მიღებულ იქნას დამატებითი ინფორმაცია (თუ ამის სხვა წყარო არ არსებობს).

ექსპერტების როლში უნდა გამოდიოდნენ შესასწავლ მოვლენასთან უმუშოდ დაკავშირებული პირები. მაგრამ ამ შემთხვევაში ექსპერტის კვალიფიკაციის და გამოყენებული მეთოდის ხარისხი, მიუხედავად მიღებული ინფორმაციისა, მათი სუბიექტურია. ამიტომ მუშაობაში უნდა ჩაებას ექსპერტთა რაც შეიძლება დიდი ჯგუფი.

ექსპერტულ შეფასებებს კონსულტირებაში იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მეთოდები არ იძლევა სიტუაციის შესწავლის საშუალებას, მოცული სიტუაცია ხშირად მეორდება და კარგად არის ცნობილი ექსპერტებისათვის. ამასთან ერთად, კონსულტანტმა სხვა მეთოდებით აუცილებლად უნდა შეამოწმოს ექსპერტული შეფასებების სანდოობა.